

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 09.01.2006, მუხ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 8. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები

1. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოთა გამოყენების წესის დაცვით თვითმმართველ ერთეულს აქვს გერბი და დროშა.

2. თვითმმართველი ერთეულის გერბს და დროშას საქართველოს პარლამენტთან რსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და ისი თანხმობით ადგენს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოები ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სახელმწიფო რეგისტრაციას.

3. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ბრეზიდენტის ბრძანებულებით“.

2. 67-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს პრეზიდენტმა 2010 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ბრძანებულების გამოცემა“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2010 წლის ____ მარტი.